დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და მათი კარიერული ზრდა

წინამდებარე ანგარიშში განხილულია დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის (დტსუ) კურსდამთავრებულთა დასაქმების ციფრობრივი მაჩვენებლები.

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტი“–ს დმ პროგრამა ერთ-ერთია 15 პროგრამიდან, რომლებიც მოცემულია სამედიცინო სკოლების მსოფლიო ცნობარში და ფუნქციონირებს საქართველოში.

დმ ხარისხის მფლობელთ შეუძლიათ აირჩონ კარიერა მიმართულებების საკმაოდ ფართო მასშტაბებში. რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ეს არის კლინიცისტობა, კლინიკური კარიერა ჰოსპიტალში.

ალტერნატიულ გზებს მიეკუთვნება: საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანმაშრომელი; მკვლევარი, ჯანდაცვის ჟურნალისტი; სამედიცინო პედაგოგი; სასამართლო მედიცინის კლინიკური ექსპერტი; პარამედიკოსი; საჯარო ექიმი; სამედიცინო/ფარმაცევტული მკვლევარი; სპორტისა და ვარჯიშის მედიცინა; მოხალისედ მუშაობა; სამედიცინო წარმოამდგენელი; სამედიცინო იურისტკონსულტანტი; პროფესიული დაავადებების ექიმი; ტრანსპლანტაციის კოორდინატორი; კერძო ბიზნესის კონსულტაცია და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ დმ კურსდამთავრებულები ჩვეულებრივ მიჰყვებიან თავის განთლებას სამედიცინო რეზიდენტების სახით, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვეაში მოიპოვებენ ინდივიდუალური კლინიკური პრაქტიკის უფლებას და იღებენ სერთიფიკატს. შესაბამისად, 2016-2017 წლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა სარეზიდენტურო პროგრამისთვის მზადების პროცესშია, საქართველოში, აშშ-ში ან გერმანიაში.

საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ დმ სტუდენტების დაახლოებით ნახევარი ირჩევს ექიმის კარიერას ვიწრო სპეციალიზაციით, ხოლო 20% ხდება ზოგადი პროფილის ექიმი. დანარჩენი 30% აგრძელებს „არაკლინიკურ“ კარიერას, მათ შორის 10% საბაზისო სამედიცინო მეცნიერებებში *(Kumar et al, Factors Influencing Medical Students' Choice of Future Specialization in Medical Sciences: A Cross-Sectional Questionnaire Survey from Medical Schools in China, Malaysia and Regions of South Asian Association for Regional Cooperation, 2014).*

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს აქვთ დმ (დიპლომირებული მედიკოსის) ხარისხი, რომელიც სტუდენტს ენიჭება 6 წლიანი სწავლის (360 ECTS) დასრულების შემდეგ. ამჟამად მთლიანობაში 737 აქტიური დმ სტუდენტია პროგრამაში ჩართული. მათგან 368 უცხოელია და 369 საქართველოს მოქალაქეა. უნივერსიტეტის არსებობის მანძილზე პროგრამა 476-მა სტუდენტმა დაამთავრა.

იმისათვის, რომ ჩვენი კურსდამთავრებულების შესახებ გვქონდეს ინფორმაცია, დტსუ პერსონალი რეგულარულად ახორციელებს მათი დასაქამების სტატუსის შემოწმებას. უცხოეთში დასაქმებულთა შემთხვევაში განათლების დადასტურებისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის საფუძველზე ასევე კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებები გამოიყენება: ტელეფონი, მეილი, სოციალური ქსელები და ა.შ.

დტსუ ფლობს ინფორმაციას 394 კურსდამთავრებულის დასაქმების შესახებ (პასუხების მაჩვენებელი 83%). ჩვენი კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ჩვენი კურსდამთავრებულების უმრავლესობა (n=248; 63%) მედიცინის სხვადასხვა სფეროში კლინიკური საქმიანობითაა დაკავებული, მათგან 132 პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა საქართველოში, 69 ამერიკაში და 47 სხვა ქვეყნებში, ძირითადად გერმანიაში, ინდოეთში, ისრაელში, დიდი ბრიტანეთის გაერთინებულ სამეფოში, ნეპალში, რუსეთსა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. 9% მუშაობს ჯანმრთელობის მენეჯმენტში, ჯანდაცვასა და მასთან დაკავშირებულ დისციპლინებში, ზოგს უკავია წამყვანი თანამდებობები საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებში. სამედიცინო განათლებაში დასაქმებულია 9%. ფარმაცევტულ ბიზნესსა და ჯანმრთელობის დაზღვევაში 3% - 3%, შესაბამისად.

მათთან ერთად, ვინც ემზადება რეზიდენტურისთვის ან ბიოსამედიცინო დარგში მოღვაწეობისთვის (რაც ქმნის კურსდამთავრებულთა 30%-ს), დასაქმებულნი არიან შესაბამის დისციპლინებში, რაც შესაძლოა გავაერთიანოთ ერთი სიტყვის ქვეშ - ჯაქნდაცვა. სხვები მუშაობენ არასამედიცინო პოზიციებზე, ზოგ მათგანს აქვს საკუთარი ბიზნესი (4.5%). კურსდამთავრებულთა მხოლოდ 3% არ იყო დასაქმებული კვლევის ჩატარებისას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამით, ჰყავს 148 კურსდამთავრებული და 5 სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული ; უნივერსიტეტი ფლობს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა 97 %-ზე ამ პერიოდში კურსდამთავრებულების საერთო დასაქმების მაჩვენებელი 88 %-ია , მათგან კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებულია 98 % .

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (2011წ-დან) უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის , პროგრამას ჰყავს 148 კურსდამთავრებული; სადოქტორო პროგრამის 5 კურსდამთავრებული (ყველა დასაქმებულია კვალიფიკაციის შესაბამისად). ამ პერიოდის კურსდამთავრებულთა შესახებ უნივერსიტეტი ფლობს ინფორმაციას მათ 97 %-ზე ;

- ✓ საერთო დასაქმების მაჩვენებელი 88 % -ია*
- ✓ კვალიფიკაციის შესაბამისად მათგან (დასაქმებულთაგან) 98 % დასაქმებულია
- ✓ კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობიდან (ყველა კურსდამთავრებული) მიღებული კვალიფიკაციის (დიპლომირებული მედიკოსის) შესაბამისად საქმიანობს 88 % .

* 18 კურსდამთავრებული ემზადება სარეზიდენტო გამოცდებისთვის .

ჯამში, რესპოდენტების 95% დასაქმებულია მედიცინასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პოზიციებზე, რაც უდაოდ ამტკიცებს დტსუ კურსდამთავრებულებზე მოთხოვნების არსებობას სამუშაო ბაზარზე.



PHYS - ექიმები
PH – საზოგადოებრივი ჯანდაცვა
SC – მხოლოდ მეცნიერება
ME – მხოილოდ სამედიცინო განათლება
RG – ახალი კურსდამთავრებულების, რომლებიც ემზადებიან რეზიდენტურისთვის
UE – უმუშევრები
OJ – სხვა პოზიციები
AB – საზღვარგარეთ არასამედიცინო სამსახური
PRM – ფარმაცევტული კომპანიები
INS – სადაზღვევო კომპანიები